

„კრიტიკული მეგობარი“ - მასწავლებელთა თანამაშრომლობის  
გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარების ინსტრუმენტი

გალინა მეცხვარიშვილი

ნინო ტატიაშვილი

მაგდა ფოცხვერაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჯანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,

2018

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი”.*

გალინა მეცხვარიშვილი

ნინო ტატიაშვილი

მაგდა ფოცხვერაშვილი

21.06.2018

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომლის მიზანია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტრუმენტის დანერგვით მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი კულტურის გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას. კვლევა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ.

საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა მისი სკოლისთვის აქტუალური საკითხები - პროფესიული განვითარება და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა. აღნიშნული საკითხებიდან უკანასკნელს სამაგისტრო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი თავად წააწყდა მუშაობის პროცესში. სკოლაში მასწავლებლებს შორის შეინიშნებოდა თანამშრომლობისთვის მზაობის დეფიციტი, როდესაც სურვილი ჰქონდა, გამოცდილი პედაგოგებისგან მიეღო რჩევები, რეკომენდაციები, დასწრებოდა მათ გაკვეთილებს, სხვა პედაგოგები დაკვირვებოდნენ მის პრაქტიკას, კოლეგებისგან შემხვედრი ნაბიჯები არ გადაიღვა. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციაც ხედავს აღნიშნულ პრობლემას და გამოთქვამს მზაობას, ხელი შეუწყოს სკოლაში პროფესიული თანამშრომლობის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებას.

სწორედ ზემოთ გამოთქმული გარემოებები გახდა საფუძველი საკვლევი საკითხის შერჩევისა. დირექტორთან ინტერვიუსა და საკუთარი გამოცდილების შედეგად იდენტიფიცირდა არსებული პრობლემა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი შეირჩა დაწყებითი საფეხურიდან (I, II, III კლასის მასწავლებლები) და ინტერვენციებიც, შესაბამისად, ამ მასწავლებლებთან განხორციელდა.

პრობლემის გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკების მიზნით ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან, რათა მათი პოზიციიდან გაგვეგო თუ როგორ ესმით მასწავლებლებს თანამშრომლობა, რამდენად ხედავენ მის საჭიროებას თითოეულის პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის და რა არის მათი აზრით თანამშრომლობის დეფიციტის მიზეზი. ფოკუს-ჯგუფის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შევიმუშავეთ კვლევის სამოქმედო გეგმა, რომელიც განხორციელდა და შეფასდა. ინტერვენციების შედეგების შეფასებამ ცხადყო, რომ განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო საწყისი პრობლემის გარკვეულწილად აღმოფხვრას: გაჩნდა მზაობა, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება, დაუფლებოდნენ ეფექტური და კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემის ხერხებს, გაზრდილიყო კრიტიკის მიმღებლობა, გამოეცადათ კოლეგის მიერდანერგილი სხვადასხვა მიდგომა საკუთარ პრაქტიკაში.

კვლევის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს დანერგილი ინტერვენციების განხორციელების შედეგად მიღებული მონაცემების მდგრადობა. მნიშვნელოვანია, კვლევის ჯგუფის გავლენა გაფართოვდეს და გავრცელდეს მთელ სკოლაზე და კვლევის ჯგუფში ჩართული მასწავლებლები თავად იქცნენ სკოლაში პროფესიული თანამშრომლობის კულტურის დამკვიდრების ინიციატორებად.

შესაძლებელია ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენების არეალი გასცდეს ერთი სკოლის ფარგლებს და ისინი გამოიყენონ საქართველოს სხვა სკოლის მასწავლებლებმაც, რადგან სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ჩვენ მიერ შეთავაზებული მეთოდოლოგია წარმატებით არის აპრობირებული დასავლურ სამყაროში და პოზიტიური შედეგები მოგვიტანა ჩვენც, მიუხედავად ინტერვენციებისა და მათი განხორციელების პერიოდის სიმცირისა.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** პრაქტიკის კვლევა; „კრიტიკული მეგობრის“ ინსტრუმენტი; თანამშრომლობითი კულტურა; პროფესიული განვითარება.

## Abstract

This master's thesis represents the practical research report, which aims to implement the "critical friend's" instrument among the teachers and to improve the cooperative skills between them. This supports the professional and development and a success in the career of the teachers. The research was made by the students of educational administration, of Ilia State University, in one of the public schools of Tbilisi. On the level of identification of the research problem, after having an interview with the school director the most actual issues have been revealed - professional development and cooperation between teachers. One of the members of the group came across to this issue herself during the working process. The lack of the cooperation was obvious between the teachers she was trying to get advices, recommendations from the experienced teachers, wanted to attend their classes and vice versa. She could not get this from the colleagues. Having a conversation with the school director it turned out that the administration was also aware of that and they really supported the implementation of the supportive activities. All the above mentioned circumstances became the base of choosing this question. The group has been selected from the elementary classes (1st, 2nd and 3rd classes) and of course the interventions have been fulfilled among these teachers as one of the members works as a teacher of the mentioned school and working on the research would be much easier. In order to diagnose the causing reasons we did the focus group with the teachers, as to find out how they understand the sense of cooperation and how they find it important for the development of their career as well as for the increasing the degree of the education. We wanted to find out what is the reason of deficiency of the cooperation. On the basis of the focus group we worked on the research plan, that was evaluated and implemented. After this it turned out that the activities supported the elimination of the existing problem, appeared the desire to share the experience with themselves, to increase the criticism, to try the experience of the colleague in their own practice. The aim of this research is to remain the

stability of the implemented interventions , it is important to spread the influence on all over the school and teachers could become the initiators of the implemented culture. it is also possible that our interventions and recommendations can also influence other school teachers, and it could be widely used by them , as the developing of the cooperative culture in the schools is also well known in the western world and it also have the positive results for us, in spite of the interventions and the shortness of the period. the basic thematic worlds: the research of the practice, the instrument of critical friend, cooperative culture, professional development.

**Key words:** practical research; “critical friend’s” instrument; cooperative skills; professional development.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით ქ. თბილისის №106 საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს კვლევაში აქტიური მონაწილეობისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკული კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, განათლების სკოლის ხელმძღვანელსა და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ, სოფიკო ლობჯანიძეს, კვლევის თითოეულ საფეხურზე გაწეული დახმარებისთვის.

ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ კვლევის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების დოქტორანტს, მარიკა კირვალიძეს.